ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბრძანება:**ბ11. 11240333**

თარიღი:**02/02/2024**

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 27 დეკემბრის Nბ11.1123361001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” 63-ე მუხლის საფუძველზე,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 27 დეკემბრის Nბ11.1123361001 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის #11 დადგენილების შესაბამისად,”.

2. ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ მიეთითოს მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების შესრულება საქართველოს კანონის ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსი” შესაბამისად.“.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. # 247).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გელა ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, აბაშა, 0200, უ.კაჭარავას ქ. N1, ტელ: (+412) 29 19 19, ელ.ფოსტა:
ABASHA.MUN@GMAIL.COM